1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმი. სწავლების ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისგან: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა გამოკითხვას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის ფორმები ანონიმურია, რაც ზრდის მონაცემთა ვალიდურობის ხარისხს. გამოკითხვის შემდეგ, მიმდინარეობს მონაცემთა დეტალური ანალიზი (დგება ანგარიშები, დიაგრამები, პრეზენტაციები და ა.შ.) და საბოლოდ, მიღებული შედეგების საფუძველზე, ხორციელდება ინტერვენციები სწავლა/სწავლების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს თამარიონის სასკოლო სასწავლო გეგმის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი; კითხვარები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	1. სკოლას მიეცა რჩევა, მესამე მოდელის საათობრივი ბადის ცვლილების შემთხვევებში დროულად აცნობონ სამინისტროს სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. 2. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ერთიანობაში აღქმისთვის კურიკულუმის თემატური მატრიცისა და კომპლექსური დავალების შემუშავება მოხდეს არა ცალკეულად, არამედ, ერთი საგნის, ერთი კლასის ფარგლებში კომპლექსში; 3. სკოლას ეძლევა რჩევა, განუმარტოს მასწავლებლებს შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, რათა არ დაირღვეს მოსწავლის უფლებები ან სასკოლო გეგმაში ჩაიწეროს ის წესი, რასაც პრაქტიკულად ახორციელებენ.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1406,70	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა მდებარეობს თბილისში, დასახლება თემქა, XI მიკრო/რაიონი, II ვარტალი. მიწის ნაკვეთის ფართობი: 10949.00 კვ.მ, ხოლო შენობა ნაგებობების საერთო ფართი 4080,40. აღნიშნული ქონება შპს „თამარიონს“ საკუთრებაში გადაეცა 2011 წლის 22 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად. . შენობა ნაგებობა შედგება 4 სართულისაგან: I სართული - 1229.26 კვ.მ - საკლასო ოთახი, ბუფეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, ფინანსური დირექტორის კაბინეტი, ბუღალტრის კაბინეტი, მოსაცდელი ოთახი, ექიმის კაბინეტი, დარბაზი, დაცვის ოთახი, დირექტორის კაბინეტი, ბიოლოგიის კაბინეტი, სველი წერტილი. II სართული - 894.00 კვ.მ - 8 საკლასო ოთახი, ქიმია-ფიზიკის კაბინეტი, ინგლისურის კაბინეტი, რუსულის კაბინეტი, სამასწავლებლო, სველი წერტილი (სამი განყოფილება გოგონებისათვის, ოთხი - ბიჭებისათვის); III სართული - 894.00 კვ.მ - 10 საკლასო ოთახი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რუსულის კაბინეტი, სველი წერტილი (5 განყოფილება გოგონებისათვის); IV სართული - 9 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, მათემატიკის კაბინეტი, საკონფერენციო დარბაზი, სველი წერტილი (5 განყოფილება ბიჭებისათვის).
ფაქტობრივი მისამართი	თბილისში, დასახლება თემქა, XI მიკრო/რაიონი, II ვარტალი
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.12.02.021.006
კვ.მ.	10949.00 კვ.მ, ხოლო შენობა ნაგებობების საერთო ფართი 4080,40.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2011 წლის 22 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის 22 საკლასო და 8 საგნობრივი საკლასო ოთახი/კაბინეტი, ყველა მათგანი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით: მერხებით, სკამებით, დაფებით, მაგნიტური დაფებით და თვალსაჩინოებებით. სკოლაში ვიზუალური დათვალიერების დროს ადგილზე იყო 670 მერხი და სკამი .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესყიდვის დოკუმენტაცია; 2012 წლის 16 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის 1 სართულზე 161.73 კვ.მ-ზე განთავსებულია მაღალჭერიანი სპორტული დარბაზი, გასახდელებით. დარბაზი აღჭურვილი შესაბამისი სპორტული ინვენტარით (შვედური კიბე, კალათბურთის ფარით, ტენისის მაგიდით და სხვა). სკოლის მფლობელობაში არის ასევე გარე სტადიონი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ბილოგიის და ქიმია - ფიზიკის ლაბორატორია, ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მულაჟებითა და თვალსაჩინოებით. ქიმია- ფიზიკის ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვი კარადით და სველი წერტილით, ასევე მას აქვს დამხმარე ოთახი სადაც განთავსებულია რეაქტივები და მეტალები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი წყარო,სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. ასევე ადაპტირებული სველი წერტილი შშმ მოსწავლეებისათვის. ყველა სველ წერტილში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლა თბება ცენტრალური გათბობის სისტემით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი შეადგენს 5000-მდე ერთეულ წიგნს, მათ შორის გრიფირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები. სკოლას აქვს წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი ანბანური კატალოგით, ასევე ელექტრონული აღრიცხვის სისტემა **“open biblio**“. სკოლაში შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, რომლებიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი. ბიბლიოთეკის სივრცე კომფორტულადაა მოწყობილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ბიბლიოთეკის დებულება; ბიბლიოთეკაში ქცევის წესები; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი; ანგარიშ-ფაქტურებითა და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები; ხელშეკრულება **"open biblio"**-სთან; გასაუბრება ბიბლიოთეკართან. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, ასევე ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისათვის განთავსებულია პირველ სართულზე. აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს დასაკეც-გასაშლელი პანდუსები, რომელთა დამონტაჟებაც ადვილად ხერხდება იმ შემთხვევაში, თუ ამის საჭიროება გაჩნდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სსსმ-თან მუშაობის მექანიზმები; ვიზუალური დათვალიერება; ინტერვიუ.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლა უზრუნველყოფილია 45 კომპიუტერით (29 პერსონალური, 16 ლეპტოპი) ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტ ქსელში, სკოლის მფლობელობაშია ასევე 4 პროექტორი, 8 პრინტერი. სკოლას საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტში განთავსებული აქვს 19 კომპიუტერი, რომლებიც ჩართულია ელექტრონულ ქსელში. დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი https://tamarioni.edu.ge/, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. სკოლა ასევე სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით https://eservices.schoolbook.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; ვებ-გვერდი; შესყიდვის ხელშეკრულები; სასაქონლო ზედნადებები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე მექანიზმები, შენობის სართულებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განთავსებულია 14 ცეცხლმაქრი საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო კრიზისული მართვის გეგმა და შპს „თამარიონის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; შესყიდვის ხელშეკრულები; სასაქონლო ზედნადებებიდა შპს „თამარიონის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების დოკუმენტი; საგანგებო კრიზისული მართვის გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ევაკუაციის გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას ყველა სართულზე. აღნიშნული შედგენილია მოქმედი სტანდარტების სრული დაცვით, შენობის პარამეტრების და თავისებურებების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება; შესყიდვის ხელშეკრულები; სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო დახმარების მექანიზმი. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც ითავსებდა ფსიქოლოგის ფუნქციასაც. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანება ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ'' შესაბამისად ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია ფსიგოლოგის პოზიციაზე. სკოლაში პირველ სართულზე არის ექიმის კაბინეტი, რომელშიც განთავსებულია პირველადი დახმარების მედიკამენტები და შესაბამისი ინვენტარი. წარმოდგენილი იყო პაციენტთა რეგისტრაციის და მედიკამენტების აღრიცხვის ჟურნალები. გაწერილია პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, თვალსაჩინო ადგილას გამოკრული და ხელმისაწვდომია ექიმის სამსახურებრივი ტელეფონის ნომერი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სამედიცინო ინვენტარისა და მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებული დოკუმენტაცია; სამედიცინო დახმარების მექანიზმი; ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სახანძრო უსაფრთხოების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო კრიზისული მართვის გეგმა და შპს „თამარიონის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას ჰყავს შვეიცარი, ასევე მოქმედებს მასწავლებლების მორიგეობის განრიგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერებით; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში წესრიგის დაცვა კონტროლდება დამონტაჟებული კამერებით. დაწესებულებაში სულ 25 ვიდეოკამერაა, რომელთაგან 13 გარე , ხოლო 12 შიდა პერიმეტრს აკონტროლებს. სკოლაში დამონტაჟებული უსაფრთხოების კამერები შეესაბამება ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესებს. შიდა კამერები გადანაწილებულია შემდეგნაირად: პირველ სართულზე 5 კამერა, მეორეზე - 2, მესამეზე - 3 და მეოთხეზე -3, აღსანიშნავია, რომ მეორე, მესამე, მეოთხე სართულის ერთი ფლიგელი არ კონტროლდება კამერით, რაზეც გაიცა რჩევა ექსპერტების მიერ. **არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას, სკოლა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	იტყობინებოდა, რომ აღნიშნულ ფლიგელებში დამატებით დააყენა სამი კამერა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერებით; სასაქონლო ზედნადებებით; მომსახურების ხელშეკრულებით;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს თამარიონს, როგორც კერძო სამართლებრივ იურიდიულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს იურიდიული პირის წესდება. სკოლის შიგანაწესით რეგულირდება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების საქმიანობა და სასწავლო პროცესი. სკოლის სტრუქტურული ერთეულებისათვის და მათი ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, სკოლაში შემუშავებულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის დებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის წესდება; შინაგანაწესი; სტრუქტურული ერთეულების დებულებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის განვითარების ექვსწლიანი გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. დაგეგმილი ღონისძიებები და აქტივობები ეფუძნება დაწესებულების ღირებულებებსა და ხედვას. აღნიშნული გეგმები მორგებულია სკოლის მატერიალური და ადამიანური რესურსის ეფექტიანად გამოყენებასა და მათ გაუმჯობესებაზე. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც მინდინარეობს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი. წარმოდგენილია SWOT ანალიზი და შესაბამისი ანგარიშები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული კორესპონდენციის აღრიცხვა. საქმისწარმოებისთვის მოქმედებს შემდეგი ჟურნალები: შემოსული კორესპონდენციების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული კორესპონდენციების რეგისტრაციის აღრიცხვის ჟურნალი, მოსწავლეთა და საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები, მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებებისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ყველა ჟურნალი წესის შესაბამისად არის დამუშავებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საქმისწარმოების წესი საქმისწარმოების ჟურნალების ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლაში ექიმის და ფსიქოლოგის თანამდებობას ერთი ადამიანი ითავსებს, თუმცა ექსპერტების ვიზიტის პერიოდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანება ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ'' წესიდან გამომდინარე სკოლას გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია ფსიქოლოგის პოზიციაზე.სკოლას აქვს 13 შიდა კამერა, რომელიც გადანაწილებულია შემდეგნაირად: პირველ სართულზე 5 კამერა, მეორეზე - 2, მესამეზე - 3 და მეოთხეზე -3, აღსანიშნავია, რომ მეორე, მესამე, მეოთხე სათულის ერთი ფლიგელი არ კონტროლდება კამერით, რაზეც გაიცა რჩევა ექსპერტების მიერ.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის სკოლას ჰყავს 67 თანამშრომელი. მათ შორის დირექტორი, ორი მრჩეველი, კომერციული დირექტორი, ადმინისტრაციული მენეჯერი, ბუღალტერი, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მენეჯერი (I-IV კლასები), ბიბლიოთეკარი, ქოუჩი - კლასის მეთვალყურე, ლაბორანტი, სააღმზრდელო საქმიანობაში დასაქმებული პერსონალი, ორი დარაჯი, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მენეჯერი (V-XII კლასები),შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შვეიცარი, სამეურნეო მენეჯერი, 3 დამლაგებელი, მოლარე. სკოლას ჰყავს 46 პედაგოგი, რომელთაგან 38 უფროსი, 3 წამყვანი, 3 მოწვეული, 3 სტატუსის გარეშეა. ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება კანონმდებლობის წესის გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; სკოლის შინაგანაწესი; eSchool-ის ბაზა; 2021-2022 წლის საათობრივი ბადე; გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	67
მოწვეული/მაძიებელი	3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

პრაქტიკოსი მასწავლებლი	-
უფროსი მასწავლებლი	38
წამყვანი მასწავლებლი	3
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა უმრავლესობა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ხელშეკრულება eSchool ბაზა
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესის მიხედვით გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები. ასევე სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს თანამშრომელთა შერჩევის მიღებისა და გათავისუფლების საკითხებს, სანქციების გონივრულ ნორმებს და წახალისების ფორმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი; სკოლის თანამშრომელთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს თამარიონის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	გაფორმებული ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს თამარიონში შემუშავებულია „ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმები“, რომელიც ორიენტირებულია სკოლის ყველა თანამშრომლის პროფესიულ განვითარებაზე და „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“, რომელიც ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი. დებულების მიხედვით, აღნიშნული ჯგუფი, სქემის შესაბამისად, წლის განმავლობაში უფროს მასწავლებელს გაკვეთილზე ესწრება მინიმუმ სამჯერ, წამყვანს მინიმუმ ორჯერ, ხოლო მენტორს - მინიმუმ ერთხელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას. გარდა ამისა, აღნიშნული ჯგუფი აფასებს მასწავლებლის ელექტრონულ პორტფოლიოში განთავსებულ, მისი საქმიანობის ამსახველ დოკუმენტაციას. სკოლამ წარმოადგინა „გაკვეთილის შეფასების ფურცელი“ გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებით, ჯგუფის საქმიანობის პირველი სემესტრის ანგარიში, შესაფასებელი გაკვეთილების განრიგი, მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილის გეგმები და რეფლექსიები, განმავითარებელი შეფასებები, ჯგუფის შეხვედრების ოქმები. ამასთან, აღსანიშნავია მემორანდუმი, რომელიც გაფორმებულია სკოლასა და ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოებასთან“ და ამავე ასოციაციასთან დადებული ხელშეკრულებები ტრენინგის ჩატარების თაობაზე. გარდა ამისა, სკოლის ბაზაზე, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ სკოლის თანამშრომლებისთვის ჩატარდა სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ ტრენინგი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს თამარიონი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; ადამიანური რესურსის განვითარების მექანიზმები; გაკვეთილზე დასწრებისა და განმავითარებელი შეფასების დოკუმენტები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით აქტივობების განხორციელებას. მიმდინარე წლის მარტში დაიწყო და 2023 წლის მაისში დამთავრდება პროექტი **„საუკეთესო მომავლისათვის“,** პროექტის მიზანია შპს „თამარიონის“ მოსწავლეებსა და მშობლებში არაფორმალური განათლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ტრენინგების, სემინარების და სხვადასხვა შემოქმედებითი - შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზებით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების მიღწევების გაუმჯობესებას. პროექტის ფარგლებში 22 აპრილს ჩატარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ ორგანიზებული კონფერენცია სახელწოდებით **„დედამიწა შველას ითხოვს“.** კონფერენციის წამყვანმა მსმენელებს გააცნო კვირეულის განმავლობაში ჩატარებული აქტივობები, კერძოდ, ჩატარდა კონკურსი საუკეთესო ნახატებისა და ჩანახატების გამოსავლენად, მოეწყო ნახატების გამოფენა სააქტო დარბაზში, საიდანაც შეირჩა 16 საუკეთესო ნახატი; გარდა ამისა დაგეგმილია სხვადასხვა სახის ღონისძიებებისა და კვირეულების განხორციელება შემეცნებითი-შემოქმედებითი პროექტების სახით; გარემის დაცვითი და სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით. პროექტით გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ასამაღლებლად წახალისების სისტემის დახვეწა და განვითარება; მშობელთა პედაგოგიზაცია მათი ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით და სხვა . ყოველივე ეს ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ურთიერთდაკავშირებასა და კეთილგანწყობის ამაღლებას, სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება. სასკოლო პროექტის დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 30.05.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 41

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.